გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 167
2023 წლის 8 სექტემბერი
ქ. გორი

ქალაქ გორში, ყიფიანის ქუჩაზე №11 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე სკვერთან ამკრძალავი საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია წმინდაწყლის მე-2 უბნის ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ქ. გორში ყიფიანის ქუჩაზე №11 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე სკვერთან სისტემატიურად, დღე-ღამის განმავლობაში ევაკუატორებით ხდება ავტომობილების დაცლა, რაც იწვევს აღნიშნულ ქუჩაზე მოძრაობის შეფერხებას და საფრთხეს უქმნის სკვერში მოთამაშე ბავშვებს.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად, მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, ყიფიანის ქუჩაზე №11 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე სკვერთან განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.4.1-„სატვირთო ტრანსპორტისათვის“.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ გორში, ყიფიანის ქუჩაზე №11 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე სკვერთან განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.4.1-„სატვირთო ტრანსპორტისათვის“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე:

1. ქალაქ გორში, ყიფიანის ქუჩაზე №11 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე სკვერთან განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27-„გაჩერება აკრძალულია“ დამატებითი ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.4.1-„სატვირთო ტრანსპორტისათვის“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**